საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

3432-01-2-202110041128

N 01/3432
04/10/2021

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 31 აგვისტოს N6/55108 წერილი (შემოსული დოკუმენტი 5402/01 თარიღი: 31.08.2021), ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში, სახელმწიფო საკუთებაში არსებული 3417 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N61.11.22.507), პრივატიზებასთან დაკავშირებით და გაცნობებთ რომ რომ ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 7 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციით, დაინტერესებაში არსებული 3145კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N61.11.22.507) ძირითადი ნაწილი განთავსებულია N11 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში, რომლის ფარგლებშიც არსებული ტერიტორიების განვითარება და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განთავსება უნდა განხორციელდეს ერთიანი ხედვით, აღნიშნული დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად.

მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილი რომლის ფართობი შედგენს 272 კვ.მ-ს, განთავსებულია N11 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის არეალის გარეთ ლანდშაფტური ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ბუნებრივი ლანდშაფტის ან ხელოვნური ლანდშაფტის ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა. ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: ა) მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობებისა; ბ) რელიგიური/საკულტო შენობა-ნაგებობებისა საგამონაკლისო წესით; გ) სპეციალური ტურისტული მარშუტის პროექტით შეთანხმებული, პანორამული ხედების მქონე, 100 მ2-მდე ფართის ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობებისა.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთავაზობთ მიწის ნაკვეთის ალტერნატიულ კონფიგურაციას შემდგომში განაშენიანების დეტალური გეგმით განვითარებისთვის.

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722

დანართის სახით გიგზავნით N11 ტერიტორიის განაშენიანების გეგმის/განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავების პირობებს და ფუნქციური ქვეზონების რუკას და შემოთავაზებულ ალტერნატიულ კონფიგურაციას.

დანართი: 5 გვერდი .rar ფაილები

პატივისცემით,

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი